

პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებას და ევროკავშირი არ არის პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე, ავტორების სტილი დაცულია.

იანვარი-დეკემბერი, 2023

საინფორმაციო

ბროშურა



ERASMUS+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - „საქართველოსა და უკრაინის უსტ-უაის როლის გაძლიერება ინტელექტუალური უნივერსიტეტი კანდიდატი 4.0-ის მეშვეობით“

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი ბელგიის, შვედეთის, პორტუგალიის, უკრაინისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების ჩართულობით ხორციელდება.

Erasmus+ - ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც ახორციელებს პროექტებს განათლების, ტრენინგების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით 2014 წლიდან.

ინსტიტუციური განვითარების პროექტები აგრძელებენ ყოფილი Tempus პროგრამის აქტივობებს, რომლებიც მიმართული იყო უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერისა და უნივერსიტეტებს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობისა და პრაქტიკის/გამოცდილების გაზიარებისკენ.

HEIn4 პროექტის განხორციელების კალებრი

2020 წლის 15 იანვარი-2024 წლის 15 იანვარი

(*ჰანდემაისთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, პროექტის დასრულების ვადა გახანგრძლივდა)

პროექტის აქტივობები

- დასრულდა მუშაობა პროექტის ყველა აქტივობაზე;
- გამოიცა პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა პუბლიკაცია;
- შედგა პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტების დელეგაციების სამუშაო ვიზიტი ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში (სექტემბერი, 2023);
- ჩატარდა HEIn4 პროექტის კონფერენცია ბათუმსა და ქუთაისში (ოქტომბერი, 2023);
- შედგა პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტების დელეგაციების სამუშაო ვიზიტი სტოკჰოლმის ტექნოლოგიურ სამეფო ინსტიტუტში, შვედეთი (ოქტომბერი, 2023);
- შედგა პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტების დელეგაციების სამუშაო ვიზიტი პორტოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ნოემბერი, 2023)



პროექტის საკოორდინაციო შეხვედრები

HEIn4 პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების წარმატებით განხორციელების მიზნით 2023 წელს დაიგეგმა და შედგა 10 საკოორდინაციო შეხვედრა დისტანციურ და ჰიბრიდულ ფორმატში თანმიმდევრულად შემდეგ რიცხვებში:

- 12.01.2023 - დისტანციური შეხვედრა
- 09.02.2023 - დისტანციური შეხვედრა
- 10.03.2023 - დისტანციური შეხვედრა
- 04.04.2023 - დისტანციური შეხვედრა
- 11.05.2023 - დისტანციური შეხვედრა
- 09.07.2023 - დისტანციური შეხვედრა
- 28.09.2023 - ჰიბრიდული შეხვედრა
- 19.10.2023 - ჰიბრიდული შეხვედრა
- 07.11.2023 - ჰიბრიდული შეხვედრა
- 21.12.2023 - დისტანციური შეხვედრა

საკოორდინაციო შეხვედრების ფარგლებში, პროექტის სამუშაო პაკეტების (WP) მიხედვით, გაიწერა ინსტიტუციების მიერ განსახორციელებელი აქტივობები და სამოქმედო გეგმა; შეფასდა პარტნიორი ინსტიტუციების მიერ წარმოდგენილი პროექტის RG-ის ხარისხის ფორმები; დაიგეგმა პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში და ქუთაისსა და ბათუმში განსახორციელებელი ფართომასშტაბიანი ვიზიტები/კონფერენცია; განხილულ იქნა ომის პირობებში უკრაინული ინსტიტუციების გეგმები; შემუშავდა პროექტის საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია და მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩატარებული საპასუხო აქტივობების/ლონისძიებების ანალიზი; განხილულ იქნა პროექტის ფინანსური ნაწილის მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები; განხილულ იქნა ქართულ და უკრაინულ უნივერსიტეტებში დაარსებული მალალტექნოლოგიური ლაბორატორიების ფარგლებში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები; მომზადდა ლაბორატორიის და

პროექტის ბენეფიციარების უკუკავშირის სამენოვანი ფორმები და ანგარიშები (უკრაინულ-ინგლისური; ინგლისურ-ქართული); მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და სამომავლო გეგმები; ასევე, შეიქმნა ლაბორატორიების სპეციალური ვებ-გვერდები ქართულ-ინგლისურ და უკრაინულ-ინგლისურ ენებზე; მომზადდა და გამოიცა ინჟინერიის მიმართულების კურიკულუმის ანგარიში/პუბლიკაცია ქართულ და უკრაინულ ენებზე პროექტის პარტნიორი 3 ევროპული უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოცდილების შესაბამისად; ასევე, მომზადდა პროექტის მდგრადობის გეგმა კონსორციუმის წევრ თითოეულ უნივერსიტეტში. ამავე წელს, ფაქტობრივად დასრულდა პროექტის ყველა აქტივობაზე მუშაობა და მომზადდა ყველა მასალა, რაც გათვალისწინებული იყო პროექტის ხანგრძლივ ეტაპზე.



სამომავლო გეგმები

HEIn4 პროექტის პარტნიორები არ ასრულებენ მიმდინარე პროექტით თანამშრომლობას. პროექტის მდგრადობის გეგმები დეტალურად ასახავს თითოეული ინსტიტუციის გეგმას, თუმცა უკვე იქნა მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი ამ მიმართულებით. კერძოდ, რამდენიმე უნივერსიტეტი უკვე თანამშრომლობს ერაზმუს+ ახალი CBHE პროექტის ფარგლებში (BTU, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, დონეცკის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტი); ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა დაიწყო KTH-ს, BTU-სა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის; უკრაინულმა უნივერსიტეტებმა გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმები ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტთან; BTU გეგმავს პორტოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან ერაზმუსის სხვადასხვა სექციების ფარგლებში თანამშრომლობას; პროექტის ფარგლებში დაარსებული ლაბორატორიები აგრძელებენ ფუნქციონირებას და სერვისების შეთავაზებას ინდუსტრიისთვის; ქართული და უკრაინული უნივერსიტეტები კი კვლავ შესთავაზებენ სტუდენტებს მომდევნო აკადემიური წლის მანძილზე პროექტის ფარგლებში შემუშავებულ სასწავლო კურსებს - ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც HEIn4 პროექტის და მისი აქტივობების მდგრადობას შეუწყობს ხელს.